



მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის, დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ კათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 11

1883—1903

15 ივნისი

შ ი ნ ა რ ს ი:


სალიტერატურო განყოფილება: მწარე ფიქრები — სოფლის ხუცისა. — შესხმა. თქმული თ. კ. ი. მუხრანბატო. ნის დასაფლავებაზე. ეპ. ლეონიდისაგან. — მოხსენება. დ. ნ. ბაქრაძისა. — სერბიის მეფე დედოფლის და მისი მინისტრების ამოხრცვა. — „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში“. — ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანების სისხლს მღ. კ. ანთაძისა. — ახალი ამბები და შენიშვნები — უურნალ გაზეთებიდან.

სწავლა და მაცნეობა: **ქრისტიანობის საფუძვლები** და **კეთილ-ზნობაზე:** სიტყვა, თქმული ღორების წმ. გიორგის ეკლესიაში 1903 წ. 30 მარტს. მღ. ს. ჭუმბურიძისმიერ. — განცხადება, მოზღვრება საყურადღებოდ.

მწარე ფიქრები.

რამდენი ხანია რაც ჩვენი მწარე ფიქრები არ გამოგვიტყვამს, ან რა საკიროა მათი გამოტყვევებაო, იქნება გვითხრას ვინმეც. დიად, მართალს ამბობსო, იტყვის ზოგიერთი. მაგრამ არა... როცა დედის თავისი სიცოცხლე, თავისი საყვარელი შვილი მკვდარი უდევს წინ და საცოდავად გაშეშებულ გვამს და ტირის და გამწარებული ლოყებს იკაწრავს, გუბნებიან: რა არის ეხლა მაგოდენა ჯაური, მაგდენი

ტირილი და მწუხარება? ხომ ვერ გააცოცხლებ მათი?.. მაგრამ გამწარებული დედა, ვითომც არ ესმისო, მაინც განაგრძობს ტირილს და თავის თმის გლეჯას. ზოგიერთი გამოცდილი დედა-კაცები იტყვიან ხოლმე: არ უნდა დაუშალონ ტირილი, ამ ტირილით რაღაცა შევებას გრძნობს მისი გულიო; თუ გააჩუმეს მომტირალი მაშინ უარესად იტანჯებაო. ჭეშმარიტად, მართალია. ჩემს თავზე ვიტყვი. როცა მწარე ფიქრებით გამოვსტყვამ დიდი ხნიდან გულში ნადებს მაშინ რაღაცა უმფრო შევებას გრძნობს გუ-



ლი, რაღაცა უფრო აღარ გაწუხებს ამ უბედური ქვეყნის წაღმა უკუღმა ტრიალი და ხალხის უსამართლობა. ამისათვის მეც ამ საშუალებას მივაშურებ ხოლმე...

რას არ გაიგონებ, რას არ წაიკითხავ ეხლანდელ დროში! რომ ნამდვილ შენ არ ისმენდე, რომ ნამდვილ არ კითხულობდე ზ სხვისი ნათქვამი რომ იყოს სწორედ არ დაიჯერებთ... ჯდხნარ მიყრუებულ სოფელში და გინდა, რომ ვისმეს გამოვცლაპარაკო, გაუზიარო შენი აზრი გაგივიღო-წაკითხულობდე, მაგრამ ვის ნახავ, რომ ბაასი გაგიწიოს? ქაღალდის თამაშობაში, სმაში და ლაზლანდარობაში ბევრს ამხანაგს იშოვი, მაგრამ საამქვეყნო და საზოგადო საინტერესო საგანზე, არ იფიქრო მესაუბრე შეგიხედეს ვინმე. ქალაქში სულ სხვა არის; იქ თუ ქუჩიანურად არა სულელურად მაინც დაგვიწყებს კაცი ბაასს. ამისათვის აქ მიყრუებულ ჩემს სოფელში ისევე კალამს უნდა მიაშურო და კალმის საშვალეებით გამოთქვა შენი მწარე ფიქრები...

ვიცი კარგად, რომ ამ შრომით სიცოცხლეც დნება, მომდურავიც ბევრი ხდება, მაგრამ ამ ოხერმა გულმა არ მიქნა გაწერება, დასვენება. მოვისმინოთ ყველა დაწერილი და ნათქვამი... ყოველს ადგილას და ყველასაგან დღეს ნიადგ გესმის: „სარწმუნოება დაცემულია, ზნეობა დასუსტდა“. ამას გაიძახის ყოველი კაცი მღვდელი და ერი, დიდი და პატარა, სწავლული და უსწავლალი. მართლაც ეს მოვლენა ტყუილი არ არის, ეს საზოგადო სენია ყოველგან ჩვენს სახელმწიფოში, თუმცა ჩვენ ქართველობაში, მადლობა ღმერთს, მართლა ისე არ დამდაბლებულა კიდევ სარწმუნოება და ზნეობა როგორცა სხვაგან სადაც ასე ძლიერ მედიდურობენ სარწმუნოებით. მადლობა ღმერთს ჩვენში ჯერეთ კაცები არ გამოუცხადებიათ ღმერთებად როგორც სხვაგან გამოაცხადეს! ჩვენი ხალხი ჯერეთ იმდენად მაგრა სდგას სარწმუნოებაზე, რომ არასოდეს კაცს ღმერთად არ აღიარებს ვინც უნდა იყოს იგი და არც არავის შეუძლია თავისი ეკლესია დაატოვებინოას მას ვინც და რამდენიც უნდა უქადაგოს. ის კი არა სხვა სოფელში, რომ გადაეცვალოს ნათესავი, თან გადაყვება და ეცდება, რომ მოიპაროს გვამი და თავისი დედა ეკლესიაზედ დამარხოს იგი რამდენადაც უნდა დაუჯდეს მისი მოტანა... მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ მოწინავე საზოგადოებაში მართლადაც ძლიერ

დამდაბლდა ქვეშარიტი ქრისტიანობრივი სარწმუნოება. ძველ დროში გლეხკაცობისათვის სამაგალითო იყო თავად-აზნაურობა და მოწინავე ხალხნი; დღეს კი მაღალ წოდების კაცს და სწავლულს ვეღარ შეხედებით, რომ სარწმუნოების საგნებზე ბაასი გაგიმართოს. სინჯეთ, დაუწყეთ ბაასი აბა თუ რამე გითხრას. თავს იმატლებს მით, რომ სემინარიაში არ უსწავლიათ საღმრთო-სჯული, თუნდაც რომ მართო სემინარიაში ასწავლიდნ საღმრთო-სჯულს და სხვა სასწავლებლებში საღმრთო-სჯულზე ვითომც სრულებით სწავლა არ იყოს. შემცდარი აზრია. გიმნაზიაში ზ უნივერსიტეტში ბევრს გადიან საღმრთო-სჯულის სწავლას, მაგრამ არავენ არ მაცადინობს, რადგან სუსტად ცოდნა საღმრთო-სჯულისა მოსწავლეს მაინც-და-მაინც არ დააბრკოლებს!

მართალია, ღვთის წინაშე, ქადაგება და მოძღვრება ეხლანდელ დროში უფრო გავრცელებულია; სწავლა, რაღა თქმა უნდა ბევრად მეტია. შეადარეთ ძველი დროის სასწავლებლები ეხლანდელ დროისას; ძველი დროის მოსწავლეთა რიცხვი მონასტრებში ბერების ხელში, ეხლანდელი დროის მოსწავლელების პროფესორების ხელში და თქვენ დარწმუნდებით, რომ შედარება არ შეიძლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის სარწმუნოებაზე და ზნეობაზე არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ძველი დროისას ეხლანდელი სჯობდეს... გონებით განვითარებამ ძლიერ წინ წარსდგა ბიჯი და ისეთი რამ გამოიგონეს, რომ კაცი ვერც-კი წარმოიდგენდა ძველ დროში, მაგრამ ესევე არ შეგვიძლია ვსთქვათ ქრისტეს სჯულის და მცნების შეთვისების საქმეში... კაცის სისხლი ისევე იღვრება და უარესადაც ძველ დროის სისხლის ღვრასთან შედარებით. ძველ დროში ერთი კაცის მოკვლა შეეძლო ბოროტ და ავაზაკ კაცს დღეს-კი ერთი ყუმბარით ას-ორას კაცს გაჟლეტს. მიხედვით მაგალითებრ მაკედონელებს. რა სისხლის ღვრა და უბედურება არის, მაგრამ სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, რადგან სულაც რომ ამოხოცონ ზოგიერთებისათვის საუმჯობესო იქნება...

აი დღევანდელი კაცობრიული ქრისტიანული სიყვარული!, აი დღევანდელი განათლებული ხალხის კაცობრიული გრძნობა და მოყვსის სიყვარული! ეს არის ზნეობით წინ წასვლა? ეს არის კაცის უბრალობა ზ გაქირვებაში ჩავარდნილი მოყვსის მიშველება?..



დიალ, ქადაგება მრავლდება, სიტყვებს და მოძღვრებათა ველარ იტყვის სასულიერო ჟურნალები და გაზეთები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიტყვები და ქადაგებანი რალადა აღარ ხვდებიან გულს და ნაყოფი არ მოაქვს. ბრძანება სრულდება მტკიცეთ, სიტყვები იბეჭდება, თესლი ითესება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად თესლის ხარჯიც იკარკება თორემ ნამყოფზე ვინა რამეს იტყვის. სად და რაში არის მიზეზი? მიზეზი ისევე ჩვენში, ჩვენ ვართ ისევე დამნაშავე. კაცის მტერმა, ამ ბოროტმა სულმა როცა ღრმა ძილს მივეცენით მაშინ დასთესა ღვარძლი და აღმოსცენდა ღვარძლის ნამყოფი, შეურია კეთილ ცოლს ფარისევლური სიმეჩავე და დაამეჩავე ყველანი...

მაცხოვარმა გვიბრძანა: „ეკრძალენით ცომისაგან ფარისევლთასა...“ მაგრამ ვინ ეკრძალება დღეს ფარისევლთა ცომსა?

ფარისევლური ზნეობრივი ცომი, რომელიც არსებობს ხოლმე ესრეთ წოდებულ ფარისევლურ მიმართულებაში, შეხედულებაში და ცხოვრების კანონებში ყოველთვის ღრმად შთაინერგებოდა მრთელ ხალხის ცხოვრებაში და მრავალნაირად დაამეჩავებდა, აფუნებდა მათ ცხოვრებას. ღრმად და ვრცლად დამეჩავებულია მისგან ჩვენი ხალხის აწმყო თანამედროვე ცხოვრებაც და იფარება იგი იმისთანა კაცობრიულ მოქმედებაში და ხალხის ცხოვრებაში, რომელშიაც პირველ შეხედვაზე სრულებითაც ვერ წარმოიდგენ მის არსებობას.

ფარისევლური მიმართულება ქრისტეს დროის ფარისევლთა იყო შესანიშნავი მით, რომ იგინი „შეჭკრავდნენ ტვირთსა მძიმესა და ძნიად სატვირთავსა და დასდევდნენ მხართა ზედა კაცთასა; ხოლო მათ თვითონ თითითაცა არ უნდოდათ შეძრვა მისი“. ისინი თხოულობდნენ ხალხისაგან სასტიკად აღსრულებას ყველა მცნების კანონთა, მრავალთა, მცირეთა, ძნელად აღსასრულებელთა და სასტიკად სდევნიდნენ მათ დამრღვევთა, მაგრამ თვითონ არ აღუსუბუქებდნენ ხალხსა ამ სიმძიმის ზილვასა არც კეთილის სანუგეშებელი სიტყვითა და ჩაგონებითა, არც თავის სამაგალითო ცხოვრებითა. ეს ცოტა იყო; ისინი იცავდნენ რა გარეგნად სიმართლესა, არღვევდნენ საღრმთო მცნებათა: სჯულსა, სამართალსა, მოწყალებასა და სარწმუნვებასა და ამისთანა მაგალითითა ჰრყვნიდნენ ხალხსა და ასწავებდნენ მათ ფარისევლურად მცირე მცნების აღსრულებასა და უდიდესთა მცნებათა დარღვევასა.

არ ვნიშნავთ, ეხლანდელ ხალხის ცხოვრებაში ამისთანა ფარისევლურ მოქცევას? არ ვნიშნავთ ეხლაც ზოგიერთებში, რომ ისინი სხვას დაადებენ მძიმესა ტვირთსა და ძნიად საზიდაესა მაგრამ თავის თავს განითავისუფლებენ და თითითაცა არ მიეხებიან მათ? სამწუხაროდ, ამისთანა ფარისევლური სულის მიმართულება ინიშნება ყველგან, ყოველ ნაირ საზოგადოებაში და ყოველი კაცის მოქმედებაში...

ფარისევლურის ცომის სიმეჩავეს ღრმად გაუდგამს ფესვები ყოველ წოდების ხალხში. და ეს, რასაკვირველია, დაბადებს ხალხში საზოგადო უმოქმედებობას თავის მოვალეობის აღსრულებაზე და პატიოსან შრომაზე ყველას აუცრუებს გულს და გაანძრავლებს საზოგადო გარყვნილებას და განხრწნილებას. ფარისევლობა კაცს შეაჩვევს ტყუილ-სიტყვაობას. სიტყვით ფარისევლობას მალე მოყვება საქმით ფარისევლობაც.

ძრისტეს დროის ფარისევლთა, მიაღწიეს გასაოცარ და საშიშარ პირფერობამდინ და ამით მოინადირეს დასაღუბავად მრავალნი დამეჩერე ხალხნი. „ყოველსა საქმესა იქმოდინ საჩვენებლად ხალხთა, განადიდებდნენ საუნჯეთა და განაგრცებდნენ სამოსელთა თვისთა... საჩვენებლად ლოცვილობდნენ დიდხანს. სწირავდნენ ათეულსა პიტნისა, ცერეცოსა და ძირაკისაგან, განწმენდნენ ქურჭელთა თვისთა.“

საზოგადოდ განსხვავებოდნენ გარეგანი სიმართლითა... გარნა ნამდვილად იგინი იყვნენ გარყვნილნი, ისინი ემსგავსებოდნენ ბრწყინვალეთა კუბოთა, რომელნიც გარეგანად სწანდნენ ბრწყინვალეთა, ხოლო შინაგან სავსენი იყვნენ ძველებითა მკვდართათა და ყოველითა არა წმიდებითა: გარეგანად ისინი ეჩვენებოდნენ ხალხთა მართლად, ხოლო შინაგანად იყვნენ სავსენი ფარისევლობითა და უსჯულოებითა. შესახედავთ დიდ ხანს ლოცვილობდნენ, მაგრამ ცარცვადნენ სახლთა მჭერივთასა...

იხდიდნენ რა ათეულსა პიტნაკისა, ცერეცოისა და ძირაკისაგან იგინი სტოვებდნენ სჯულსა შინა უდიდესსა, — სამართალსა, მოწყალებასა და სარწმუნოებასა... ისინი განსწმედდნენ ქურჭელსა, მაგრამ შინაგანად იყვნენ სავსენი უსამართლობითა და ნატაცებითა.

(შემდეგი იქნება)

სოფლის ხუცესი.



შ ე ს ხ მ ა .

თქმტლა თ. ჭ. ა. მუხრანაძე-ნაშვალას დაკრძალვის დღეს.

ძვირფასო და სასიქაღულო თავადო კონსტანტინე!

მარჯვენე მითრთის იმ წარმოდგენაზე, რომ რამდენიმე წამის შემდეგ შენ ბრწყინვალე გვამს უნდა დავაყარო ცივი და ბნელი მიწა; ენა არ მომდევს გამოსათქმელად იმ ვარამისა და ცეცხლისა, რომელიც მიტრიალებს გულში, გხედავ რა უსუსლოდ და უძრავად მდებარეს. დიად, დღეიდან ნებაუნებლიეთ უნდა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ დავკარგეთ კაცი, რომლის გულშიაც საკმარის ალბადს პოულობდა ყოველი პატიოსანი კაცი თავადი და, სწავლული და უსწავლელი, საერო და სამღვდლო, ქალი და ვაჟი, მოხუცი და ჯაბუკი. დღეიდან უნდა სინამდვილედ მივიმწინოთ ყველამ, რომ აღარ გვყავს კაცი, მატრქვეველი და მთესველი თავის გარეშემოკმაყოფილებისა, მშვიდობიანობისა, სიტკბოებისა, თავაზიანობისა, ქველ-მოქმედებისა და თავდაბლობისა; გამოგვეცალა ხელიდან ქვრივთა, ობოლთა და გაჭირვებულთა გულწრფელი მამა და მზრუნველი სასიქაღულო თავადი კოწია!

დღეს, როდესაც ყველაფერი შეიცვალა და შეირყა, როდესაც აღარ არსებობს ერთსა და იმავე საგნის შესახებ ერთგვარობა შეხედულებისა და მსჯელობისა ბევრს აღარაფლად აღარ მიაჩნია თვით ის წარჩინებული წოდება, რომლის საუკეთესო შვილიც იყო განსვენებული; ბევრს სათაკილოდაც მაჩნია თავადიშვილობა და შესაძლოა ხვალვე მისაყვედურონ, რომ მიცვალებული მოვიხსენე თავადად, ხვალვე გამავონონ, რომ მე მოტრფიალე ვყოფილვარ წოდებრივი კრუმორწმუნებისა, ჩემი თვალთა მხედველობის ისარი მიმართული ყოფილა უკლმა, სამარისა და წარსულისაკენ და არა წაღმა—სიცოცხლისა და საიმედო მერმისისაკენ. და სხვ. და სხვ...

მაგრამ დაე ინაევარდონ თავიანთებურ აზრთა ფრენაში ამ გზა აბნეულმა და ცდომილმა პირებმა, დაე მაყვედრონ და მძრახონ ყოველნაირად. ეს არაფერი საშიში და სავალალო არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული მიმართულების მიმდევართა უკლმართი მსჯელობა სულ მალე მოს-

ქამს თავის დროს და ახლო მომავალში შეიქნება ყველასაგან გაკიცხულ დაიწყებული. ნაღებს ყოველთვის თავზე იგდებს რძე და არასოდეს არ ილექავს მას ძირს, თუ მართლა ნამდვილი რძეა და არ დაუკარგავს თავისი ბუნებრივი თვისება. აგრეთვე ქართველობას ყოველთვის მოწინავე წრედ ეყოლება თავისი თავადობა და არასოდეს არ აპყრის მას პატივისცემას თუ თითონ ქართველ ერს სრულებით არ დაეკარგა ეროვნული თვისება და არ გადაიქნა ახალ ჯილაგად. რისთვის? იმისთვის, რომ ქართველს თავადიშვილობა აქვს შეძენილი და ნაშოვნე მამულის განუსაზღვრელი ერთგულებით, ქრისტიანობის უმაღლესი სიყვარულით და მოძმეთათვის თავდადებით, თავისი თავის მსხვერპლად შეწირვით. ეს ყველაფერი თანდაყოლილი, თანშობილი თვისება ნამდვილი ქართველი თავადის სულისა და შესაფერ გარემოების დროს ისე თვალთ სახილავი ხდება ხოლმე ყველასათვის, როგორც ანთებული ლამპარი.

რა თქმა უნდა, ამ წოდებაშიაც მოიპოვებინ უღირსნი და ოჯახის შემარცხვენელნი, მაგრამ მზეს რომ ხანდისხან შავი ღრუბელის ნაჭერი გადაეფარება ხოლმე, ვანა ამის გამო იგი ისევ დიდებულ მნათობად არა რჩება, ვანა ოდნავი დაჩრდილვა უკარგავს მას მაცოცხლებელ ძალას?

ღირსეულ და ქეშმარიტ ქართველ, თავადიშვილად ვცნობდით განსვენებულს და იმის გამოა, რომ დიდი და პატარა მღულარე ცრემლს ვაფრქვევთ მის კუბოს. ვინ არ იცის, როგორი აღტაცებული სიხარულით მიეგება გარდაცვალებული ამ დიდებული ტაძრის, ქართველთა წმიდა ემბაზის განახლების აზრს? ვის არ მოეხსენება, რავგვარი მუყაითობით, გულდასმით და ხალისით ისმენდა და თვალს აღევნებდა იგი ყველაფერს, რაც კი შეეხებოდა ამ ტაძრის განახლების საქმეს, რამდენს ცდილობდა და შრომობდა, რომ საშვილიშვილო საქმე სვეტიცხოვლის ტაძრის განიხლებისა სწორეთ სამაგალითოდ. სასახლოდ და ყოველი მზრივ ღირსეულად დამთავრებულიყო. დასასრულ, ვის არ მოეხსენება ამ საქმისთვის მისი უხვი შეწირულება? ახლა მივიხედოთ ჩვენს მარჯვნივ. რამ აღძრა და რამ მოიყვანა აქ ეს სამგლოვიარო ძაძით მოსილი და გულდასაწვავად მოტირალი გუნდი საქართველოს კეთილშობილთა მოზარდი თაობისა? განსვენებულ თავადს არ გამოუცდია საკუთარ შვილის მამობრივი გრძნო-



ბის სიტკბოება, მას არ უტარებია, როგორც მშობელს, თავის მკლავით არც ძე, არც ასული, მაგრამ სამაგიეროდ მის გულს არ განშორებია სიტკბოება სამშობლოს სიყვარულისა, მის გონებას არასოდეს არ გაჰყრია ზრუნვა და ფიქრი მოზარდ თანამომძმეთა საკეთილდღეოდ. მას სწამდა, რომ შეგნებული, წრფელი და გულითადი სიყვარული სამშობლოსი დიდი სიმაგრეა უკანასკნელისთვის, შესწავლა და გათვალისწინება სამშობლო ერის თავგადასავლისა, საძირკველია ერის არსებობისა, აღჭურვა ერის მომეტებული ნაწილისა თანამედროვე მეცნიერებით— უტყუარი საშუალებაა მისთვის, რომ ამ ერმა გაიმარჯვოს ცხოვრებაში და მოიპოვოს შესაძლო ბედნიერება. ჰსწამდა, მოგახსენებთ ყველაფერი ეს განსვენებულს და თავდადებით ზრუნავდა, როგორც ჭეშმარიტი თავადი, შეეძინა სამშობლოსათვის ასეთი საიმედო სიმკვიდრე, გაეკვლია მისთვის უცთომელი გზა კეთილდღეობისადმი, გაემდიდრებია იგი შეგნებული, მხნე და პატიოსანი შვილებით. აი ამ მაღალმა რწმენამ, ამ თავადი შვილურმა მიდრეკილებამ ღვიძლი შვილივით შეაყვარა განსვენებულს თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო სასწავლებელი, ამ დიდმა გრძობამ დააბერტყინა მას ხსენებულ სასწავლებელზედ თუ შეიძლება ასე ვთქვათ, თავისი ზნეობრივი, გონებრივი და ქონებრივი კალთა და მხოლოდ ამითი აიხსნება ამ კეთილ-შობილთა ყრმათა დღევანდელი გლოვა-ტირილი, მათი უზომო სულთქმა და მწუხარება. მართლაც რომ სატირალია ამ გვარი კაცის დაკარგვა და ისიც ჩვენ ბეჩავ დროს!

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი, სასიქადულო თავადი შვილო! უფალმა შეგინდოს ყოველი შეცოდებანი შენი ნებსითნი და უნებლიეთნი და ნაცვლად აქ დათესილი სიკეთისა, ღირს გყოს საუკუნო ნეტარებასა. სანუგეშოდ და გასამხნევებლად ჩვენ გვრჩებიან შენი სასიქადულო თვისებანი, რომლებიც გვირწმუნებენ, რომ საქართველოს თავადთა ოჯახობა ჯერ ისევ საღი და ძლიერია, მისი მაჯის ცემა საიმედოა, მისი გული მტკიცე ქსოვილია სამშობლოსადმი ვმირული სიყვარულისა და ამის გამო არც მომავალში მოგვაკლდებიან შენისთანანი. ამინ.

ქპისკაშისი ლეონიდი.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა.

წადგენილი დავით ნიკოზ. ბაქრადისკან 25 თე. ბერგაღს 1903 წ. ქუთაისის გუბერნიის კომიტეტში, რომელიც იყო შემდგარი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საქარებათა გამოსარკვევად.

ქიათურის ვიწრო-კვლიანი რკინის გზა თითქმის ერთიანად გაყვანილია იმ ადგილებზე, რომელიც უფასოდ დაეთმოთ პატრონებისაგან და იმ ძველი საურმე გზაზე, რომელიც იყო გაკეთებული ადგილობრივ მცხოვრებთა ხელით და რომელზედაც წინად ურმებით დაჰქონდათ მარგანეცი რკინის გზის პირველ სადგურამდე.

ამ გზის სიგრძე არის 38 ვერსი.

ასე პატარა მანძილზე თავდა პირველადვე დაადევს 10 კაპეიკი ტარიფი, ანუ საზიდი ფასი, ერთნაირად სუყველა საქროსა და ბარგზე, რა გვარი ანუ რა თვისებისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ეს უშველებელი ტარიფი ედვა, როგორც მთელს გზას, თავიდან ბოლომდის, ისე მის მკარე სარბიელსაც, სადგურიდან სადგურამდე.

ამ ანგარიშით, ზოგიერთს ალაგს 1 1/4 კაპეიკი ჰხდებოდა ერთის ფუთის ერთს ვერსზე გადაიტანს.

ამიტომაც ქიათურაში ღ საზოგადოდ მთელს შორაზნის მაზრის ზემო ნაწილში ამ რკინის გზით თითქმის აღარაფერი შედიოდა და, რადგან საუკეთესო საურმე გზა მოსპობილი იყო, ქიათურაში ყოველისფერი საშინლად გაძვირდა და ცხოვრება გაჭირდა.

ეს გარემოება მეტის მეტად მანებელი დარჩა მარგანეცის ვაჭრობისათვის და შემაწუხებელი, განსაკუთრებით, მუშა ხალხისათვის და მუშა საქონლისათვის.

მარგანეცის მწარმოებლებმა ღ მათთან ხალხმაც ბევრჯერ მიმართეს მთავრობას სათხოვარით ტარიფის შემცირებისათვის.

ამ თხოვნებს გულ მოდგინედ დაუქირეს მხარი ქუთაისის გუბერნატორებმა, კავკასიის მთავარ მართველებმა, სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა და თვით მ. ი. უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მაგრამ ყველა სათხოვარმა უქმად ჩაიარა.

სათხოვრის უარს, პირად საფეროდ, — ამყარე-



ბდენ იმ მოსაზრებაზე, რომ ტარიფის დაკლება სასარგებლო იქნება მხოლოდ ექსპორტერებისათვის ანუ უცხო ქვეყნის ვაჭრებისათვის და არა მარგანეცის პატრონებისა და მწარმოებლებისათვისაო, რადგანაც ექსპორტერები მაშინვე დაუკლებენ მარგანეცს ფასს იმ ზომამდე, რამდენადაც ტარიფი შემცირდებაო.

ნამდვილი, მაგრამ უჩინარი, მიზეზი კი ის იყო, რომ ფინანსთა სამინისტროს ეშინოდა, ხაზინას შემოსავალი არ მოაკლდესო.

ეს მოსაზრებაც და ზემოთ მოხსენებულიც ორივე შემცდარი გამოდგა, როგორც ნაყოფიწმინდა თეორიულის მსჯელობისა, რომელიც არ არის შემოწმებული გამოცდილებით და ცხოვრებისაგან შუქმიყენებული. აი, ამის მაგალითი: როგორც კი სამი კაპეიკი დაუკლეს ტარიფს, 1898 წლის იანვარში, მარგანეცის ვაჭრობამაც მაშინვე იმატა თანდათან.

1897 წელს გაზიდეს 10 მილიონი ფუთი. 1900 წელს კი 30 $\frac{1}{2}$ მილიონი. სამს წელიწადს ერთი სამად იმატა გაზიდვის რაოდენობამ. ამისდაგვარად ხაზინის შემოსავალმაც იმატა: 1897 წ. 1,119,720 მანეთი იყო. 1900 წ. 2,289,459 მ. გარდა ამისა მარგანეცის ფასმაც შესამჩნევად აიწია: 1897 წ. 9 $\frac{1}{2}$ იყო და 1900 წ. ავიდა 12 და 13 პენსამდე.

1901 და 1902 წლებში მარგანეცის ზიდვა და მასთან ხაზინის შემოსავალიც უფრო გაძლიერდა, მაგრამ მისი ფასი-კი ნელ-ნელა დაეცა ახლა არი 8 $\frac{1}{2}$ პენსი, ე. ი. ჩვენთვის ზარალი მოაქვს.

ამის მიზეზია: ერთის მხრივ მეტალურგიის კრიზისი საზოგადოდ ყველგან და მეორეს მხრივ კონკურენცია სხვა-და-სხვა ქვეყნებისა, სადაც-კი მარგანეცის მადნებია და საიდგანაც მისი ზიდვა შეუღარებლად უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ჩვენში.

ამის გამო ხელმეორედ იშუამდგომლეს ტარიფის დაკლებისათვის, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ უარი სთქვა.

უარის მიზეზი ახლა-კი ნამდვილი გამოსთქვეს, რადგან მარგანეცის ზიდვა ჭიათურის გზაზე თანდათან მატულობს, სჩანს, რომ ახლანდელი ტარიფი საშიში არ ყოფილაო; ამიტომაც, ხაზინის შემოსავლის შესამცირებლად იმას არასფერი არ უნდა მოაკლდესო.

სამინისტრომ მიიღო მხედველობაში მარტო ისა, თუ რამდენს მარგანეცს ვყიდით გარშემოყვლელ გაქირვებით იძულებულნი და არა ისა, თუ რა ფასად

ვყიდით და შეგვიძლიან თუ არა ამ ვაჭრობის ატანა და განგრძობა. მარგანეცის მწარმოებლების ინტერესი მსხვერპლად შესწირა ხაზინის ინტერესს, მაგრამ თუ ასე წავიდა საქმე, ჩვენი მარგანეცი ნელ-ნელა და აუცილებლად განდევნილ. იქნება საქვეყნო ბაზრიდან და ეს გარემოება გამოიწვევს მის ვაჭრობის ლიკვიდაციას, ანუ მოსპობასა. ამითა, რასაკვირველია, ხაზინის შემოსავალიც სულ შემცირდება და კიდევ მოისპობა.

დღეს ძლივს რჩება $\frac{1}{5}$ და $\frac{1}{8}$ კოპეიკისა თვითო ფუთზე, რომელიც გროვდება და იყიდება ყოველისავე ღონისძიების ხმარებით, მრუდესა და სწორის გზის ერთი მეორისგან განურჩევლად; რასაკვირველია, იმათ გარდა ვისაც ბედი ეწვევა ხოლმე შემთხვევით, ანუ ვისთვისაც ბუნებას დაუნათლებია იმისთანა ხერხი და ნიჭი, რომ იგი არა რაისაგან ჰქმნის „რაიმესა“ და „არასფერზე“ მოსავალსა იმკის.

მეორეს მხრით რამოდენიმე ათასი მუშა ხალხი დარჩება უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ.

7 და 8 კაპეიკის გადახდენება ერთის ფუთის სავაჭროს გადასატანად მცირე მანძილზე იქ, სადაც მის პატრონს ხშირად ერთი ბოსტანიც აღარა რჩება, დიდი უსამართლობა არის და მგონია ანგარიშობაც არუნდა იყოს.

ჭიათურის რკინის გზის გასაყვანად ხაზინამ დახარჯა ერთს მილიონზედ ცოტა მეტი და ეს ხარჯი წელიწად ნახევარში აიღო-ახლა-კი წმინდა შემოსავალი რჩება 2,000,000 მეტი ერთის სიტყვით, თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ რკინის გზას მიაქვს ჩვენგან 200% წელიწადში, ყველა სხვა ხარჯებს გარდა.

თუ მარგანეცის მძალე ტარიფისათვის შეიძლება კიდევ რაიმე გასამართლებელი მიზეზი მოიყვანოს კაცმა, თუმცადა, როგორც ვხედავთ, ეს ძალიან ძნელია, რით უნდა აიხსნას უფრო დიდი ტარიფი სხვა გადასატან-გადმოსატან სავაჭროზედ, სწორედ აღარ გვესმის...

1898 წლის იანვრამდინ ეს ტარიფი იყო 10 კაპეიკი, იქითაც და აქეთაც, მაშინ-კი განსაზღვრეს ორნაირად: ის სავაჭრო, ანუ ბარგი, რომელიც მიდის ჭიათურისკენ, იხდის 2 და 4 კაპეიკს, ორის კატეგორიის დაგვარ. ის-კი, რომელიც ჭიათურმდგან ქვევით მოდის, იხდის ისევ 10 კაპეიკს, რა გვარისა და რა ფასისაც უნდა იყოს, მძიმე იქნება თუ მჩატე,

როგორც მაგალითად, რკინა, ქვა, აბრებუმი და ლინლი. ამასთანავე როგორც მთელს გზაზე, თავიდგან ბოლომდინ, ისე თვითოეულ სარბიელზე, ანუ სადგურიდან სადგურამდე.

ამნაირად, ხაზინა, რომელმაც მუქთად წაიღო ჩვენი ადგილები და წაგვიხდინა ჩვენი საკუთარი საურმე გზა, ათს კაპეიკს გვახდევინებს თვითო ფუთის რიყის ქვისა, ანუ მუხის შეშის გადასატანად 8 ვერსის მანძილზე ქიათურიდგან სალიეთამდე, თუ კი ვისმე მოუვა ფიქრად რკინის გზით მათი გადატანა.

ამიტომ ყველა უთვალავი სიმდიდრე ზემო იმერეთისა, სხვათა შორის, ტყე და ძვირფასი მადნეულობა, ხელუხლებად რჩება. რა სარგებლობას ჰპოებს ამ ჩვენის დაქცევით ხაზინა, ესეც ვერ ვაგვივია.

ამიტომ, ვსთხოვ კომიტეტს, იშუამდგომლოს, რომ ქიათურის გზაზე ტარიფი დაკლებული იქმნას ყოველსავე საქონელზე იმ ნორმამდე, რომელიც არის დაწესებული ამიერკავკასიის მთავარ რკინის გზაზე.



სერბიის მეფე-დედოფლის და მისი ამაღლის დახოცვა.

ოცდა ცხრა მაისი უბედური დღე შეიქმნა სერბიის მეფე-დედოფლის და მისი მინისტრებისათვის. ტელეგრამებით მოვიდა შემდეგი ცნობანი.

დღეს 29 მაისს ბელგრადში შემდეგი პროკლამაცია გამოცხადდა:

„სერბიის ხალხნო! წუხელის მოჰკლეს მეფე ალექსანდრე და დედოფალი დრაგა. ამ საგულისმოსა და მძიმე დროს ჩვენი სამშობლოს მეგობარნი შეიკრიბნენ და შეადგინეს მთავრობა. ვაუწყებთ ამას სერბიის ხალხს და დარწმუნებულები ვართ, ხალხი ერთიანად მხარს დაუჭერს ამ მთავრობას და დაეხმარება თავისს სამშობლოში ყველგან მშვიდობიანობა და კანონ-წესიერება დაიცვას. მთავრობა ამით აცხადებს, რომ დღეიდან ძალაში შედის 1901 წლის 6 აპრილის კონსტიტუცია და ყველა ის კანონი, რომელიც ამ წლის 25 მარტამდე (ძველის სტილისა) ძალაში იყო. 24 მარტის პროკლამაციით დათხოვნილი სკუპშჩინა (პარლამენტი) მოიწვევა

ბელგრადში 2 ივნისს“ (ძველი სტილისა). ხელი მოწერილი აქვთ: ავაკუმოვიჩს, მინისტრ-პრეზიდენტს ლუბომირ იალიევიჩს, გარეშე საქმეთა მინისტრს სტოიან პროტიჩს, მინისტრებს გენჩიჩს, ატანო-ციკოვიჩს, ვეიკოვიჩს, მაშინს, სტოიანოვიჩს და შიმკოვიჩს.

არტულობა მოახდინა მხედრობამ. რამდენადაც აქამომდე ვიცით, მეფესა და დედოფალის გარდა, მოკლულნი არიან: მინისტრ-პრეზიდენტი ცინცარ მარკოვიჩი, გენერალი ლაზარ პეტროვიჩი და გენერალი მილოვან პავლოვიჩი. ხალხმა ეს ამბავი სრულიად გულ-გრილად მიიღო. ქუჩები ხალხითაა გაჭედული და ალტაცებით ეგებება ახალ მინისტრებს, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ მიდიან. მეფისა და დედოფლის გვამები სასახლეში ასვენია.

როგორც პროკლამაციიდანა სჩანს, მეფე ალექსანდრეს მიერ უკანასკნელის განკარგულებით გაუქმებულა და ახლად შემოღებული ცვლილებანი გაუქმებულია. ეს ამბავი მოხდა სასახლეში ღამის თერთმეტ საათსა და ნაშუადამევის ორ საათს შუა.

მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ათასობით ხალხი სდგას ქუჩებზე სასახლის ახლო. ყველგან ჯარებია. გამოწყობილია ზარბაზნები. ჯარებს აღარა აქვთ ქულებზე გაკეთებული კაკარდა მეფის ინიციალით; კაკარდის მაგიერად გაკეთებული აქვთ ყვავილები, მწვანე ტოტები და ფოთლები. ახალგაზღობა ჯგუფ ჯგუფად დადის ქუჩებში, დროშებს აფრიალებს და იძახის: „გაუმარჯოს კარაგიორგიევიჩსაო!“ თითქმის ყველა სახლი ბელგრადში ბაირადებით არის მორთული, მათ შორის სამგლოვია-რო ბაირადი ერთიც არ არის. მეფის სასახლეზე ბაირადი აღარ არის. — კერძო დებეშა იუწყება, რომ მეფე ალექსანდრეს ამ ბოლოს დროს განზრახვა ჰქონდა გაჰყროდა დედოფალსაო. რამდენსამე უმღლეს სამხედრო პირს უნდოდა იმ ღამეს ძალად მოეშორებინათ დედოფალი სადგომიდან, მაგრამ დედოფლის მომხრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მეფე და დედოფალი გაცხარებულ ბრძოლის დროს მოჰკლეს.

ცვლილება მოახდინა რუმინიის მეფის სახელობის მე-6 რაზმმა; მეთაურობდა, როგორც ამბობენ, პოლკოვნიკი მიშიჩი და მაშინძ. უკანასკნელი ახალ კაბინეტში შევიდა — ის შენობების



აგების მინისტრია. დედოფალი დრაგა იმის ძმის ცოლი იყო. ჯარის კაცები შეუვარდნენ ღამით სადგომში ლაზარე პეტრეს ძეს, ველიმირ თეოდორეს ძეს, მიხეილ პავლეს ძეს, და დედოფლის ოჯახის წევრებს. როგორც ამბობენ, სულყველა დახოცილია. მეფეს, დედოფალს და სხვა დახოცილებს მარხვენ ღდეს სულ-უბრალო კუბოებით; მეფე, ალბათ, დამარხულ იქმნება რაკოვიცის მონასტერში, დანარჩენები-კი აქაურ სასაფლაოზე.

მილანის მეფობის დროს ახალი სერბიის მინისტრებს შიმკოვიჩის და პროტიჩის გადაწყვეტილი ჰქონდათ ოცი წლის ციხე. ჩენჩიჩი იყო დედოფალ დრაგას ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგეთაგანი და აღექსანდრეს მეფობის დროს უდიდებულესობის შეურაცხყოფის გულისთვის სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი.

კარაგეორგიევიჩი დღისით კიდევ შენევაში იყო. ხუთის ნახევარზე მიიღო ჟურნალისტები, რომელთაც უთხრა, რომ ოფიციალურად მისთვის არაფერი შეუტყობინებიათ, არ იცის, წავა თუ არა და როდის ბელგრადში, გამოცხადებულია თუ არა მეფედ.

გვარდიელებმა, რომელიც კონახს იცავდნენ, საოცარი თავგანწირული წინააღმდეგობა გამოიჩინეს. ამბობენ, ასამდე გვარდიელია მკვდარიო. ადიუტანტ პოლკოვნიკმა ნაუმოვიჩმა, რომელიც მეფის საწოლ ოთახში შეიჭრა, მოსთხოვა რომ მეფეს უარ ეყო ტახტი. მეფემ მოლაღატე უწოდა და მოჰკლა. ამის შემდეგ ფიცრებმა კაპიტან ნაგოვიჩის მეთაურობით ამოსწყვიტეს ყველა იქ მყოფნი. პოდპოლკოვნიკმა გიშიჩმა მოჰკლა მეფე. ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა ქვეითა რაზმმა, რომელიც ამ ცოტა ხანში სასტიკად დასაჯეს იმიტომ, რომ დემონსტრანტებს თოფი არ ესროლეს. ბოროტ-მოქმედების ჩადენა ზარბაზნის სროლით აუწყეს ხალხს. სამხედრო მინისტრი პავლოვიჩი ხის ყუთში ჩაძვრა, მაგრამ 25 ტყვია ესროლეს. ყველა დაწესებულებანი და მალაზიები დაკეტილია. ბევრი მცხოვრებლები გადაიხვეწნენ. ზემმენიდან დეპეშებით მოითხოვეს ბევრი ვაგონები გადახვეწილთა წასაყვანად. ბელგრადში ძნელია შესვლა პასპორტითაც-კი ოფიციალურად გამორკვეულია, რომ მეფე-დედოფლის გარდა მოკლულნი არიან დედოფლის ძმები ნიკოლა და ნიკოდიმ ლინევიცები, ცინცარ მარკოვიჩი, პავლო-

ვიჩი, გენერალ ადიუტანტი პეტროვიჩი; მეორე კაპიტანი ნაუმოვიჩი, კაპიტანი გიმკოვიჩი და ლეიტენანტი გაგოვიჩი. მძიმედ დაჭრილია შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი თეოდოროვიჩი და დუნაიის დივიზიის უფროსი ნიკოლაიჩი. დროებითი ახალი მმართველობა ყოველს ღონეს ხმარობს, დაიცვას ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა, რომელიც არსად არ დარღვეულა. თუმცა მხედრობამ კარაგეორგიევიჩი აღიარა მეფედ, მაგრამ ხალხის წარმომადგენლებია მოწვეული ამ საქმის გადასაწყვეტად. მტკიცდება, რომ არც დედოფლის და არც ორი დისწული არ დაღუპულა. მოკლულია მხოლოდ ორივე ძმა დედოფლისა. მიცვალებულთ დასაფლავებენ ღამით, სრულიად ჩუმად. ეს ამბავი გულდამშვიდებით მიიღეს ამ მხარეში. კარაგეორგიევიჩი მხოლოდ მაშინ მოვა, როდესაც სკუპჩინა და სენატი მეფედ აღიარებენ იმას. ბელგრადის ქალაქის პრეფექტათ დაინიშნენ პოლკოვნიკი გოგდონ დამიანოვიჩი. წინანდელ მთავრობის წევრნი, ვინც კი ცოცხალია, თავისუფლად არიან. რადიკალთა მეთაურები, რომელნიც აბზაციაში ცხოვრობდნენ, დეპეშით გაიწვიეს ბელგრადს.

მთავრობამ გამოაცხადა „ზოგიერთ მეფის კარს მომხდარ უსიამოვნების გამო საქმეში ჩაერთა ჯარი და მოხდა შეტაკება, რომელშიაც დაიღუპნენ მეფე და დედოფალი. წესიერების და მშვიდობიანობის დასაცველად ყველა პოლიტიკურ დასების წარმომადგენლებმა დაუყონებლივ შეადგინეს დროებითი მთავრობა, აღადგინეს კონსტიტუციური წეს-წყობილება 23 მარტამდე არსებული, მოიწვიეს ხალხის წარმომადგენელნი, რომელიც არ ჰეულ იყვნენ არილს 1901 წლის კონსტიტუციის ძალით. ხალხის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან იენისში და შეუდგებიან მეფის არჩევას და სხვა განაჩენს, რომელსაც მოითხოვს ახლანდელი საქმეთა ვითარება. როგორც სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი იუწყებიან, წესიერება სამეფოში არსად არ დარღვეულა. მთავრობა იზრუნავს რომ წესიერება დაიცვას, და დარწმუნეაულია, რომ, თუ ასე მოიქცა, დიდნი სახელმწიფოანი შეიწყნარებენ ახალს საქმეთა მდგომარეობას.“

ლონდონში მყოფმა სერბიის ელჩმა მილიჩუვიჩმა გამოუცხადა „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენლებს, რომ ავსტრია-უნგრეთი ღ რუსეთი, უეჭვე-

ლია, დაუდასტურებენ სერბიას, რომ ნება აქვს თითონვე განაგოს თავისივე ბედი და არ ჩაერვიან მის საქმეში.

„Neue Freie Presse“ ასე აღწერს იმას, რაც ბელგრადში მოჰხდა: სასახლეში 30 ოფიცერი მაშინისა და მიშიჩის უფროსობით. თან ახლდათ რაზმი მე-6 და მე-7 პოლკებისა რაზმი გარს შემოერთყა სასახლეს და გამომატერია კარები შიდა ოთახებში შესასვლელად; რადგან ზოგიერთი კარები და ჭიშკარი უცბათ ვერ გამოსტეხეს, ააფეთქეს დინამიტით. პირველს ოთახში დაუხვდათ შეთქმულებს ნაუმოვიჩი და მოკლულ იქმნა; ასეთივე ხვედრი ეწია პეტროვიჩს. მეორე ოთახში მეფე იყო; მეფე მიჰვარდა სარკმელს, გააღო საჩქაროდ და ჰყვიროდა, მიშველეთო; შემდეგ მეფე გაექანა დედოფალთან და მოეხვია, რათა დაეთარა. შეთქმულებმა დაუშინეს ტყვია მეფე-დედოფალს. მეფე და დედოფალი ძირს დაეცნენ; მაინც მეფემ არ გაუშვა ხელიდან დედოფალი. ამავე დროს შეიარაღებულნი გუნდნი ჯარისა შეცვიდნენ პავლოვიჩისა, ცინცარ მარკოვიჩისა და თედოროვიჩის სადგურებში. პირველნი ორნი მოჰკლეს, ხოლო მესამე დასჭრეს. ეს ამბავი ოფიცრებმა ყაზარმებსა და ბანაკს შეატყობინეს. დილით ოფიცრები დააჭენებდნენ ცხენებს ქუჩებში და აუწყებდნენ ხალხს მეფის გამეფებას. ხალხი სიხარულით ეგებებოდა ამ ამბავს და იძახდა „ჟივოიოს“.

გაზ. „Zeit“ აუწყებენ ბელგრადიდან, რომ რევოლუცია დიდხანია მზადდებოდა. უკვე სამი თვეა, რაც მთელს ქვეყანაში კომიტეტები არსებობდა და ეს კომიტეტები სამხედრო კაცებთან ერთად ამზადებდნენ საქმეს. მეფე-დედოფლის მოკვლა გადასწყვიტეს ბელგრადის ოფიცრებმა რამდენისამე თვის წინად. შეთქმულობის განხორციელება მინდობილი ჰქონდა ადიუტანტს კირილე ნაუმოვიჩს. ღამის 11 სათზე ნაუმოვიჩმა ყუმბარით ააფეთქა კარები მეფის საძინებელი ოთახისა და შევარდა ოთახში მიშიჩთანა და რამდენისამე სხვა ოფიცერთან ერთად, რომელნიც რევორვერებით იყვნენ შეიარაღებულნი; დარაჯნი წინდაწინვე იქმნენ გადაყენებულნი. ნაუმოვიჩმა მოსთხოვა მეფეს: მოაწერე ხელი სიგელს, რომ უარ-ჰყოფ მეფობასაო. სიგელში ეწერა, რომ თვისის ცოლის შერთვით მეფემ დაამტრო სერბიაო. მეფემ წამოავლო ხელი

რევოლვერს და მოჰკლა ნაუმოვიჩი. შემდეგ მიშიჩმა სტაცა ხელი სიგელს და მოსთხოვა მეფეს, მოაწერე ხელიო. მეფე და დედოფალი გაიქცნენ დასამალავად ზემო სართულში; ოფიცრები გამოეკიდნენ, ესროლეს რევოლვერი და მოჰკლეს. მეფეს ესროლა ტყვია, როგორც ამბობენ, ლუკა ლაზარევიჩმა. ამ ტრაგედიის დროს მთლად ქუჩები სავსე იყო ჯარითა. ჯარი იდგა ქუჩებში შუადღემდე. დუნაის დივიზიის კომანდირს ნიკოლიჩს უნდოდა ქალაქში შესულიყო მეფის დასაცვლად, მაგრამ ყაზარმების ახლოს ქალაქის პირად დაუხვდა გაგოვიჩი ჯარით. მოხდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში იქმნა მოკლული ერთიცა და მეორე ოფიცერიცა.

2 ივნისის ტელეგრამებიდან სჩანს, სენატორთა და დეპუტატთა საერო კრებამ ამოიჩინა ერთხმად პეტრა კარა-გეორგიევიჩი სერბიის მეფედ, კრებამ მაინც საჭიროდ სცნო ეხლავ მოეხდინა ზოგიერთი ცვლილება 1888 წლის ლიბერალ კონსტიტუციაში, რომელიც უპირველესად აღდგენილი იქნება.—ბელგრადის რამდენმამე ოჯახმა ითხოვა სამშობლო დაეტოვებინათ, მაგრამ მთავრობამ უარი უთხრა. მეფის გვამის გაქრით შემდეგი აღმოჩნდა, „თავის ქალას სისქე 11 მილიმეტრი, ხოლო ნორმალური სისქე 6 მილიმეტრს არ აღემატება; დიდი ტვინი ქალას შეხორცებია; პატარა ტვინი გადიდებულია; დეიძლი ჩვეულზე ბევრად დიდი, შავის ფერისა და ზოგან ქონად გადაქცეულია.“

სახალხო კრება გაიხსნა თავმჯდომარის ველიმიროვიჩის სიტყვით. რომელმაც სთქვა, მეფე პეტრე კარა-გეორგიევიჩი ავირჩიოთო. გაისმა აღტაცებული „ჟივოიო“-ს ძახილი. კარა-გეორგიევიჩი ერთხმად იქმნა არჩეული სახელობით არჩევნით. დიდი აღტაცება. 101-ჯერ ისროლეს ზარბაზანი.

მთავრობისაგან გაგზავნილ დეპეშაზე, რომლითაც ავვაკუმოვიჩმა აცნობა თავად პეტრე კარაგეორგიევიჩს მისი მეფედ არჩევა, შემდეგი პასუხი იქნა მიღებული: ჩემი ძვირფასი ხალხის, ჩემი ერთგული ჯარის და პატრიოტული მთავრობის ერთგულება ბრწყინვალედ დამტკიცდა, რამაც დიდად ამაღელვა. ჩემი სერბიელი სულის სიღრმიდან მადლობას ვწირავ განგებას, რამეთუ ნებითა და მოწყალებითა ღვთისათა აღვედი ჩემ ბედნიერ წინაპართა ტახტზე. თქვენ, ბ-ნო შინისტრ-პრეზიდენტს, და გამგეობაში თქვენ ამხანაგებს გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მეფური მადლობა და დარწმუნებული იყავით, რომ განსაკუთრებით სათნედ ვარ მოდრეკილი თქვენდამი.



„მ. შ. წყარა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოქმედება

საზოგადოებას 1902 წლის 1 იანვრისათვის ჰყოლია 752 წევრი. საანგარიშო წელს მოჭმატებია 167 წევრი, ასე რომ ამ წამად საზოგადოებას ყავს 919 წევრი: 6 საპატიო, 68 დამფუძნებელი და 845 ნამდვილი წევრი. გამგეობას 1902 წლის განმავლობაში ჰქონია 4! სხდომა; არ შემდგარა 4, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. 531 განსახილველ საქმიდან გამგეობას განუხილავს 362 საქმე.

საზოგადოებას საანგარიშო წელს ჰქონია იგივე სკოლები, რაც წინა წელს. ბათუმის სკოლაში სწავლობდა 201 მოსწავლე. სკოლას შემოსავალი ჰქონია: 3274 მან. 86 კაპ., დახარჯულა ამდენივე. ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სწავლობდა 483 მოსწავლე. წლის განმავლობაში მოსწავლენი დაჰკლებიან სულ 19,800 გკვეთილს. სკოლას შეაოსავალი ჰქონია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან 25,940 მან. და დახარჯულა ამდენივე. წინარების სკოლაში ყოფილა 46 მოსწავლე, დახარჯულა 423 მან. 89 კაპ.; დიდ-თონეთის სკოლაში ყოფილა 69 მოსწავლე; ძველ-სენაკში სკოლაში — 164 მოსწავლე, ქუთაისის ბანკის საშუალებიდან სკოლაზედ დახარჯულა 7940 მან.; ხელთუბნის სკოლაში 36 მოსწავლე, დახარჯულა 567 მანეთი; კავკავის სკოლაში ყოფილა 178 მოსწავლე, დახარჯულა 4968 მან. გომარეთის სკოლაში 40 მოსწავლე, დახარჯულა 556 მან. 11 კაპ. საზოგადოებას თავის სკოლებში ჰყოლია საანგარიშო წელს სულ 1215 მოსწავლე; სწავლა დაუსრულებია 116 მოსწავლეს, 229 ბავშვი დარჩენილა იმავე კლასებსა და განყოფილებაში ხოლო გადასულა 870 მოსწავლე. სახალხო სკოლების დირექციის წარმომადგენელთ დაუთვლიერებიათ საზოგადოების სკოლები და საზოგადოდ კმაყოფილნი დარჩენილნან. სკოლების შემოსავალი ყოფილა სულ 46,993 მან. 18 კაპ., ხარჯი 44,178 მან. 11 კაპ.

საზოგადოებას ჰქონდა 11 წიგნთ-საცავ-სამკითხველო: სამკითხველოსა და საკვირაო სკოლებისთვის საზოგადოებას ფულად შემწეობა აღმოუჩენია 807 მან. 80 კაპ., ხოლო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით 370 მან. 29 კაპ. სულ დახარჯულა 1178

მან. 9 კაპ. წიგნთ-საცავსა და მუხეუმზე დახარჯულა წელს სულ 2049 მან.

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას დაუბეჭდია 6085 მან. 50 კაპ. სხვა და სხვა წიგნი. ამ წიგნებთან ერთად სულ საზოგადოებას ჰქონია 41,934 მან. წიგნი საზოგადოებას მაღაზიაში გაყიდულა 4793 მან. და 33 კაპ. წიგნი, ხოლო ქალაქს გარედ 6337 მან. 96 კაპ. წიგნი. ნისიად მიეცა წიგნები სხვა და სხვა დაწესებულებას 2956 მანეთისა და 76 კაპ. და სხვა. სულ ამნაირად გაიყიდა საზოგადოების წიგნთ საწყობიდან 20,800 მან. 57 კაპ. წიგნი. წმინდა მოგება საზოგადოებას წიგნების გაყიდვით დარჩენია 1,688 მან. 40 კაპ.

საზოგადოებას ფოტოგრაფიიდან შემოსვლია 4353 მანეთი 76 კაპ., ხოლო დაუხარჯნია 5281 მან. 69 კაპ. უზარაღნია 537 მან. 68 კაპ.

საანგარიშო წელს საწევრო ფულისა შემოსვლია 2902 მან. 87 კაპ., ყულაბებიდან 230 მან., შემოწირულებანი 2885 მან. 14 კაპ., წიგნების ვაჭრობიდან 1688 მან. 40 კაპ. და სხვა., სულ 19,715 მან 82 კაპ. საზოგადოებას დაუხარჯნია სულ 24486 მან. 48 კაპ., მეტი 4770 მან 66 კაპ.

როგორც ვუწყით, საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო პირველ იენისს.

ხმარობენ თუ არა ურბები ქრისტიანების სისხლს?

რუსულიდან.

„Новости“ დაეკითხა ცნობილს მქადაგებელს, აკადემიის პრიატ-დოცენტს ბერ-მონაზონს მამა მიხეილს შესახებ რიტუალურის მკვლევლობისა ურბებში.

ლევენდა შესახებ ქრისტიანეს სისხლის ხმარებისა რიტუალურის მიზნით, — სთქვა მამა მიხეილმა, — პსიხოლოგებს უნდა აინტერესებდესო. ეს ცხადი დასურათ-ხატება „ცნობის მოყვარეობისა“ პსიხოლოგიის საკითხია და, ვსთქვათ, „სისხლითი სამართლის“ პსიხოლოგიისა. მე ფიქრობ, რომ ამ ლევენდის შეუთხზველობა არ შეიძლებოდა, — ეს ხომ იმსაზოგადო კანონის წინააღმდეგი იქნებოდა, რომელზედაც ლევენდებია დაფუძნებული.



ცნობილია, რომ პირველად ბრალსა სდებდენ ქრისტიანებს, თითქო ისინი ხმარობდენ სისხლს რიტუალურის მიზნით. წარმართნი ექვის თვალით უყურებდენ ახალს მოძღვრებას: იმათ სულით და გულით უნდოდათ კატაკომბების საიდუმლოთათვის თვალი გადაეფლოთ, მაგრამ შესასვლელი კარები დახშული იყვნენ და ეს ხომ საკმაო იყო ფრთა გაეშალა სამოქმედოთ ცნობის მოყვარეობის პსიხოლოგიასა, — დახშულ კართა პსიხოლოგიას.

გადადის რა მ. მიხეილი დუმოსარის საქმეზე, შენიშნავს იგი*).

საინტერესო საქმეა დუმოსარის საქმეო. მოხდა მკვლელობა. მრავალთ ენახათ ძარღვებზე ნაჩხვლეტები ბევრს ალაგას, პირიკ კი დაეცოთ და სხვ. ახლა უკვე დამტვიცდა, რომ ეს სიცრუეა და იმის თქმა, რომ ვინც ამბობდენ ამაზედ, ნამდვილ სტყუოდნენო, შეცდომათ მიგვაჩნია ჩვენ. არა, იმათ ეგონათ ნამდვილად ვნახეთო. ესაა კანონი სისხლითი სამართლის სამოწმებო პსიხოლოგიისა. ესეც იქონიეთ სახეში, რომ ეს ამბავი შესაძლებელი იყო მომავალში სწავლულთათვის მეცნიერულ საბუთად დადებულიყო მკვლელობის ნამდვილის მომხდარის თაობაზედ. გამოჩნდენ ისეთი მნახველნიც, რომელნიც ჰხედავდენ მას, რაც არ ყოფილა. დაასაფლავეს ბავშვი, მაგრამ აღმოჩნდა (ვსთქვათ) საჭირო ხელ-მეორედ ამის შემოწმება გაგრცელებულის ხმებისა გამო. შემოწმეს ხელ-მეორედ, აღმოჩნდენ ტყვილი ხმები, უკეთ რომ ვსთქვათ, ცილის წამებამ იჩინა თავი. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხმები კვლავ გამეორდენ ერთის ან ორის წლის შემდეგ: მნახველთათვის „უფრო დასაჯერებელი შეიქმნებოდა მათი ნახული“. უფრო დაბეჯითებით მოუთხოვდენ მასზე. სამარე ამოთხარეს, მაგრამ გვიანლა იყო სიცრუის თავიდა ამოარება ახლა ძნელი შეიქმნა; ბევრი თუმცა არ ერწმუნება, მაგრამ მსურველთათვის სიცრუე ფაქტათ გადაიქცევა. იტყვიან მოწმებს რა ძალა ადგათ ტყუილი ვთქვათო და ესეც მართალია: ისინი არიან მსხვერპლი იმ მომხმამელის ატმოსფერისა, რომელიც მკვლელებს ახვევია გარშე-

მო. ამისთვის მე ვფიქრობ, რომ დიდს ცოდვას სძენენ სულსა ის ბეჭვდითი ორგანონი, თუნდაც „Beccapandru“ ი, რომელნიცა მიზნად პირველად ხმას ამოიღებენ, ექვს მიიტანენ. ეს ნაპერწკალი, რომელიც ცეცხლად გარდაიქცევა, რამოდენიმე ასს კაცს იმსხვერპლებს. თუნდაც კაცს ლეგენდა სწამდეს, მას არ ძალუძს გაბედოს მისი მოგონება მანამ, სანამ ფაქტი სავსებით არ აიხსნება, ვერ გაბედავს მიტომ, რომ ექვი შეიძლება დიდს მთადაც გადაიქცეს, ეკრძაღენით... უნდა გვახსოვდეს, ვიმეორებ ერთხელ კიდევ, რომ მკვლელობაში ქრისტიანებს ბრალსა სდებდენ. ეს, ჩემის ფიქრით, ვალად გვიდგენს სიფრთხილით მოვიქცეთ რომ წარმართებს არ მივბაძოთ, რომელთაც პირველს სამს საუკუნობში ქრისტიანების სისხლის მდინარე დააყენეს, ჰკლავდენ-რა მათ ვითომდა „კაცთა — სიმძულვარისა“ გამო და ცრუ ორგებისა და მკვლელობისათვის წმიდა და მშვიდ სიყვარულის სერობის დროსა.

მლ. კ. ანთაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

„წესები უგან. თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა“, ამ წესების ძალით, საპრემიოდ თხზულება უნდა წარედგინოს საზოგადოებას 1906 წლის პიველ იანვრამდე. საკონკურსო თხზულება უსათუოდ ქართულად უნდა იყვეს დაწერილი. პრემია—400 მანეთი მიეცემა იმას, ვინც წარადგენს საუკეთესო თხზულებას: 1. საქართველოს წარსულს ცხოვრების შესახებ, 2. ქართულ ენის შესახებ და 3. ქართულ ძველ ან ახალ მწერლობის შესახებ. მოგვყავს აქვე მეორე, მესამე და მეოთხე პრაგრადები წესებისა:

§ 2 თხზულებას საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნათ ჰქონდეს: 1. პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელის წარსულის ცხოვრებისა ანუ რომელისამე იმის ეპოქისა, 2. სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა, 3. საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა, 4. სამხედრო ისტორია, 5. იურისპრუდენცია, 6. მითოლოგია.

*) ბეჭვდითი სიტყვამ ამას წინეთ ხმები გაავრცელა თითქო ურიებს ქრისტიანე ბავშვი დაეჭიროსთ და ეტანჯოთ, რომ მისი სისხლი ეხმართო. ეს ამბავი კომინევიში მომხდარ ურიების დარბევამდე მოხდა.



§ 3. თხზულებას ქართულის ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1. ისტორიული გრამატიკა ქართულის ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, 2. შედარებითი გამოკვლევა ქართულის ენის შტოებისა, 3. გამოკვლევა ქართულის ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4. ქართულის ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, 5. ქართულის ენის განრმატებითი ლექსიკონი, 6. უცხო ენებთან მონათესავე ქართულის სიტყვების ლექსიკონი, 7. უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

§ 4. თხზულებას ქართულის მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1. ქართულის მწერლობის სრული ან რომლისაჲმე ეპოქის ისტორია, 2. ერთ-ერთის მწერლობის დარგის სრული ან რომლისაჲმე ეპოქის ისტორია, 3. ერთ ერთის ან რავდენისაჲმე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ-მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, 4. დამოკიდებულება ქართულის მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისაჲმე კერძო ეპოქისა, 5. სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

* * კიევიდგან ატყობინებენ გაზეთ „ი. ი. 0.“-ს, რომ იქაურ საპოლიტენიკო ინსტიტუტის რჩევამ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ მომავალ აკადემიურ წლიდგან ნება ჰქონდეთ ინსტიტუტში შესვლისა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დაამთავრებენ სწავლას კადეტის კორპუსსა, საშუალო სამეურნეო სასწავლებელს სასულიერო სემინარიაში და სატექნიკო ოთხ-კლასიან საშუალო სასწავლებლებს. ვისაც სასულიერო სემინარიაში კურსი გავუთავებია, იმათ ინსტიტუტში მისაღებად ეგზამენი არ დასჭირდებათ ფიზიკა-მათემატიკაში. ეგზამენები დაიწყება 16 აგვისტოს და გათავდება 20-ს. პირველ კურსზედ მიიღებენ 330 კაცს: სამეხანიკო განყოფილებაში — 100, საინჟინერო—90, საქიმიო—60 და სამეურნეოში—80 კაცს.

* * დიდ აგიტაციას ეწვევა კათოლიკეთა სამღვდელთა მთავრობის წინააღმდეგ. აბატი კუბე ამბობს, რომ კათოლიკეთა მთავრობის წინაშე თხოვნების წერას თავი უნდა დაუანებოთო, კანონებმა ვერაფერი გვიშველა აწ ნუ დაგვაფიქრებს და ნუ შეგვაშინებს ის აზრი, რომ სისხლი დაინთხვეა. ჯოხით და კეტით უნდა დაუხვდეთ, ვინც ჩვენ მუდამ ეპაშ გვდევნისო.

* * საერო განათლების სამეცნიერო კომიტეტის სხდომები, რომლებშიაც საშუალო სასწავლებელთა დირექტორები იღებდნენ მონაწილეობას, 28 მაისს დასრულდა და გადაიღო შემოდგომამდის. როგორც უწყით, ზემოხსენებული კომიტეტი საშუალო სკოლის რეფორმას ადგია. უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში კომიტეტს დაწვრილებით შეუმუშავებია 6-კლასიანი სასწავლებლების ტიპი. სამეცნიერო კომიტეტი იმ აზრს დაადგა, რომ 6-კლასიან სკოლებში არ უნდა იქნეს ძველ და ახალ ერთა სწავლება და ამ ენების მაგიერად შემოღებული იქნება შემდეგი საგნები: ბუნების მეტყველება, სამართლის მეცნიერება და სამშობლოს შესწავლა. იმ სკოლის ტიპიც შემუშავებულია სადაც ერთს ან ორ ძველ ენას ასწავლიან და განზრახვა აქვთ იქაც შემოიღონ ბუნების მეტყველების სწავლება. ამ ნაირად სამივე ტიპის სკოლებისათვის ბუნების მეტყველება საერთო საგანი იქნება. ორი კლასი გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებში და 6-კლასიან სკოლებში საერთო იქნება, რათა მოსწავლეთ შეეძლოს თავისუფლად გადავიდნენ ერთი ტიპის სკოლიდან მეორეში.

* * უწყმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულებით სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების გამგეობანი მოვალენი არიან უგზავნონ სამოსწავლო კომიტეტს ცნობები ცუდი ყოფაქცევისათვის დათხზილ მოწაფეთა შესახებ.

* * ოდესის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით დროებით უნდა დარჩეს კიშინევი ორი პოლკი, თავ-დასხმის შემდეგ გაგზავნილი. ქ. კიშინევის პოლიციებისტერის განკარგულებით, პოლიციელები თავიანთ ადგილს არ უნდა მოშორდნენ ქუჩებში და უნდა ეცადნენ, რომ წესიერება სასტიკად იქნას დაცულიო.

* * ჩვენ მივიღეთ წიგნები რუსულად გამოცემული ჩვენი დაუღალავი პედაგოგის ბ. ი. ს. გოგებაშვილისაგან შედგენილი, 1) «როგორ უნდა გავაუმჯობესოთ კავკასიის სახალხო სკოლა. 2) ქართული და რუსული ასოები პედაგოგიური მხრით და 3) მართალი თფილისზე“. უკანასკნელი წიგნი მეორე გამოცემაა. ამ წიგნების შემოსავლიდან ხუთ-ხუთი კაპეიკა დანიშნულია საქველმოქმედო საქმეზე. პირველი წიგნი არის 60 გვერდი და ღირს 30 კაპეიკი, მეორე წიგნი 30 გვერდიანი და ღირს 20 კ. მესამე 32 გვერდი და ღირს 30 კ. წიგნები დაბეჭდილია მშვენიერ ქალღმერთ და სუფთად არის გამოცემული.

შურნალ-გაზეთებიდან.

ბალკანეთი. წინააღმდეგ იმ იმედისა, რომელსაც აცხადებდა ერთი წერილის ავტორი ნაჩევიჩის მისიის გამო, ფრანგული გაზეთი „ტან“-ი, თავის კორესპონდენტის პირით, შემდეგ საშინელ ამბავს გვატყობინებს:

„მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ უკიდურეს პარტიის მაკედონელები საშინელ რამეს აპირობენ ოსმალეთის და სულთანის წინააღმდეგ; მხოლოდ მე ვუცდიდი რომ ჯერ ბოლგარული გაზეთები ალაპარაკებულყვნენ. ესეც მოხდა საიდუმლო თათბირიდან უკიდურეს მაკედონელების პროექტი გაზეთების ფურცლებზე გადავიდა. აი, რას ამბობს ამის გამო ახალი ბოლგარული გაზეთი „სოფიისკია ვედომოსტი“: „როცა მაკედონელებს გამოეღვავათ საშუალება ევროპის ყურადღების მიქცევისა, როცა ისინი დაინახვენ, რომ ევროპიულ დაწესებულებათა (ოტომანის ბანკი და სხვა) მოსპობა აღარ მოქმედებს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობაზე, უფრო უკიდურეს ღონისძიებას მიჰმართვენ. მაკედონელებს ხელთ აქვთ რამდენიმე ბოთლი შავი ჭირის ბაქტერიებისა; აი, ამ ბაქტერიებს მოაბნევენ მთელ კონსტანტინებოლში და სალონიკში, მოსწამლვენ მით წყალს, სანოვავებს. ამ საშუალებით ისინი გააქცევენ ოსმალებს, მათ სულთანს, მოხელეებს და ჯარის კაცებს, თვითონ კი გაიხიზნებენ მთებში სადაც შავი ჭირი თავის ღღეში არა ყოფილა. როცა შავი ჭირი მუსრს გაავლებს ოსმალებს, მაკედონელები მთებიდან ჩამოვლენ და ცეცხლითა და მახვილით სულ ბოლოს მოუღებენ.“

სასოწარკვეთილება ცუდი მრჩეველია; ევროპამ და ოსმალეთმა უნდა მოსპონ ამ სასოწარკვეთილების მიზეზი, თუ სურთ რომ თავიდან აიცილონ მისი შედეგი“-ო, ათავებს კორესპონდენტი.

ერთ რუსულ გაზეთისა არ იყოს, ასეთი საშინელება უფრო ფრანგულ ბულვარის რომანის ამბავსა ჰგავს, მაგრამ მაკედონის მიმდინარე ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ყოველგვარი საშინელება შესაძლებელია.

—ერთ დღით გაკლენიან ოსმალელ გენერალს უთქვამს — ეხლანდელ არეულ მდგომარეობას ბოლო არ მოეღება უომრად, მაგრამ ომიც შეუძლებელი არისო, ე.ი. მაკედონის აუტანელ მდგომარეობას ბოლო აღარ ექნებაო.

—ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოება მეტად საყურადღებო მოვლენაა თანა მედროვე საერთაშორისო დამოკიდებულების ისშორიაში, ბევრად უფრო საყურადღებო, ვიდრე, მაგალითად, იტალიისა და საფრანგეთის დაახლოება.

საქმე ის არის, რომ საფრანგეთი უახლოვდება და მეგობრულ განწყობილებას ჰქმნის ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ყველგან და ყოველთვის შეურიგებელი მეტოქე და მტერია რუსეთის პოლიტიკისა. ცხადია, რომ რუს-ფრანგთა კავშირი ისე „გულითადი“ და მჭიდრო აღარ არის, როგორც ეს ამ სამი ოთხი წლის წინად იყო. ამითი აიხსნება მწარე კილო რუსულ გაზეთებისა, როცა-მოკავშირის საერთაშორისო პოლიტიკაზე ლაპარაკობენ... სამაგიეროთ ინგლისის პრესსა სიხარულით ეგებება ამ ახამოვლენას; ორი უგანათლებულესი ერი ერთმანეთს ვუახლოვდებით, ვუმეგობრდებით, ზვენც მოგებაში ვიქნებით და საერთა შორისო მდგომარეობაც დიდად გაუმჯობესდებაო. საფრანგეთის დაწინაურებული შურნალ-გაზეთობა და პოლიტიკური მოღვაწენიც ასე მსჯელობენ.

ედუარდ მეზიდე ოფიციალურად ესტუმრა საფრანგეთს. ეხლა საფრანგეთის პრეზიდენტმა უნდა გადაუხადოს სამაგიერო. ინგლისური გაზეთე სიამოვნებით ეგებებიან ემილ ლუბეს ღონდონში მისვლას. სხვათა შორის, „ტიმს“-ი სწერს: „ეს ვიზიტი დამყარებულია ეროვნულ ინტერესზე და ერის მოწონებაზე; იგი კიდევ უფრო განაძლიერებს იმ გულითად თანხმობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც აღბეჭდა მეფის პარიზში ყოფნამ. პრეზიდენტს უეჭველად უდიდესი გულითადობით შეხედებიან ინგლისელები. ინგლისის ერს კარგად ესმის, რამდენად სასარგებლოა ახლო მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთთან. ყოველივე ღონისძიება იქნება ნახმარი. რომ სამაგიერო გადაუხადონ საფრანგეთს ინგლისის მეფის მშვენიერ დახვედრისათვის. ამ დახვედრამ ცხადად დაგვანახვა, რომ საფრანგეთიც იმასვე გრძნობს ინგლისისადმი, რასაც ინგლისი საფრანგეთისადმი“.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაზე.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული დორეშის წმ. გიორგის კეკელისაში 30 მარტს 1903 წ.

დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნელებით, დაეთესვის გინებით და აღსდგების დიდებით.

(კორინთ. თავი 15, მუხ. 42-43).

ვინც ქვეყნიერებას და ცხოვრებას ფხიზელი თვალთ უყურებს, ის უეჭველად შენიშნავდა, რომ ღმერთს ყველაფრისათვის თავისი დრო და დანიშნულება მიუცია. დადგება თუ არა გაზაფხული, ჩვენ მაშინვე ვიწყებთ ხვნა-თესვას. ღმერთიც ხელს უწყობს კაცის შრომას და ზამთრის სიცივის მაგიერ მოგვანიჭებს სითბოს, რომლის შემწეობითაც მიწა აღმოაცენებს მარცვლისაგან მცენარეს. ყოველი მიწის მუშა მოწადინებულია რაც შეიძლება დროით დათესოს, რადგან დარწმუნებულია, რომ უდროვოთ ნათესი ან სულ არ იხეირებს და ან ძლიერ ნაკლებათ. ეს მოვლენა ძლიერ საგულისხმოა უნდა იყოს ყოველი კაცისათვის, რადგან თესვა და მკა, ან ნაყოფის შეკრება, ცხადი მომაგონებელია ჩვენი ამ ქვეყნიერი ხორციელი და საუკუნო სულიერი ცხოვრებისა. ამ ქვეყანაზე კაცი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება დროით და უხვათ შეუდგეს კეთილი საქმეების თესვას და თავის დროზე უხვადვე მოიპკის, ესე იგი ღირსი შეიქმნება საუკუნო ნეტარებისა. საღმრთო წერილის სიტყვით, როგორც მიწაში ჩავარდნილი მარცვალი ჯერეთ იხრწნება, თითქმის კიდევ ლპება, მაგრამ ბოლოს მისგან ამოდის და იხრდება მცენარე, აგრეთვე ჩვენი სხეულებიც ითესებიან მიწაში, მაგრამ მოვა დრო, როცა ჩვენი გახრწნილი გვამებიც აღდგებიან და იწყებენ ახალს სულიერსა და დაუსრულებელს ცხოვრებას. მკვდართა

აღდგომაზე ასე სწერს მოციქულთა თავი პავლე: „დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნელებით, დაეთესვის გინებით და აღსდგების დიდებით“. ვისაც სწამს, რომ ამ სიტყვებს წმ. მოციქული ბრძანებს სულიწმიდის შთაგონებით, ის საეჭვოთ არ მიიჩნევს მკვდართა აღდგომას, მაგრამ ბევრი, საუბედუროთ, ეკვიანად უყურებს ჩვენი სარწმუნოების ამ შესანიშნავსა და დიდათ სანუგეშო სწავლას. ბევრგან შევხვდებით, რომ დაღონებით უთქვამს კაცს: თუ რამე განგება არისო, თუ საიქიო არისო.. ასეთი ეკვიანობა, ძმანო, დიდათ დამლუბველი არის კაცისათვის. როდესაც კაცი საეჭვოდ უყურებს რაიმე საქმეს, მაშინ დიდათ არ ზრუნავს მისთვის. ვისაც საუკუნო ცხოვრება საეჭვოთ მიაჩნია, არც ცდილობს კეთილი საქმეები ქმნას და მით ღმერთსა და კაცს ასიამოვნოს. ამისთანა კაცს ხშირად სინდისი დაწმული აქვს, იმას სხვისი ჭირი ღმერთს მიაჩნია. მარტო თავის-თავი ახსოვს და ცოდვა-მადლის გარეგნაში არ შედის. მაგრამ როგორ უნდა დაეხმოს კაცს გონება ისე, რომ კაცის სულის უკვდავება და საუკუნო ცხოვრება საეჭვოდ მიაჩნდეს? განა კაცის სულის უკვდავების დასამტკიცებელ საბუთად არ კმარა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა და ზეცად აღება? შეხედეთ, ძმანო, განუზომელ ცის სივრცეს, მოქედილს ურიცხვი მნათობებით, თვალგაღუწვდენელ ზღვებს, ათასიანი ცხოველებით სასეს და დედამიწას, თვალუწვდენელი მთებით მოფენილს. გონიერი კაცი სწორედ განცვიფრდება ღვთაების ყოვლად შემძლებელობით, რომ წარმოიდგინოს მარტო ჩვენი დედამიწაკი თავისი გასაოცარის მოვლენებით. ბრძენი და წმ. მეფე დავით აი რას სწერს თავის წიგნში: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“ (ფსალ. 18, მუხ. 1). ესე იგი ღვთაების დიდებასა და ყოვლის შემძლებლობას ამტკიცებენ ცა-და-ქვეყანაო. ამას ყველას იმიტომ ვამბობ, რომ თუკი ღმერთმა მთელი ცა-და-ქვეყანა ერთი სიტყვით შექმნა, ასე საოცრათ შეამკო და ჩვენც არამყოფობისაგან მყოფიერება და გონიერებით ყოველ სულდგმულზე განსხვავებული ცხოვრება მოგვანიჭა, იმას განა გაუჭირდება ჩვენი გვამები აღადგინოს და ახალი ცხოვრება მოგვანიჭოს? არა, ძმებო, ნურავინ ნუ იქნებით ცოდვაში და საეჭვოდ ნუ მიიჩნევთ უტყუარ ქეშმარიტებას. მაცხოვარმა ბრძანა, რომ



ბევრი ცრუ წინასწარმეტყველები გამოჩნდებიან თქვენ შესაცდენათ, მაგრამ მათი ნურაფერი გჯერათო. ესლაც ბევრი არიან ისეთები, რომლებსაც არც სარწმუნოება მიაჩნიათ, არც სინიღისი და სშირად თავის უღთობა-უსასოებას სხვებსაც უქადაგებენ, მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიყოთ დამყარებული მაცხოვრის სიტყვებზე და ამისთანა გზა დაბნეულებს ყური არ უნდა ვათხოვოთ. ჩვენ-კი, საუბედუროდ, ხშირად გვჯერა ბოროტი კაცების სიტყვა და იმოდენათ სულის ცხოვრებისათვის არ ვზრუნავთ, რამოდენათაც ხორციელი ცხოვრებისათვის. პირველი საზრუნავი კაცისათვის საუკუნო ცხოვრება უნდა იყოს, მაგრამ საცოდავი კაცი უფრო იმის ზრუნვაში ატარებს მთელ თავის სიცოცხლეს, რომ ქვეყნიერი ღირებულება შეიძინოს და თავისი ხორცი ანებივროს. თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზე ხედავ, რომ ერთი მეორეს ართმევს რამეს და თავისთვის ისაკუთრებს, ხშირად შეხვედები კაცი, რომ ხარბი გულის პატრონი საზღვარს არ აყენებს, სამნებს თხრის, მიწას თავისი ადგილისაკენ იპოტნის და ის კი არ ახსოვს, რომ ღღეს თუ ხვალ თითონაც მიწათ იქცევა და თავისი გაუმაძღრობით-კი უკვდავ სულსაც იღუპავს და სატანჯველში აგდებს. ჩვენ საცოდავები, ორი ღლის ქვეყნად ცხოვრებისათვის ერთმანეთს ვჭამთ, ვწიწკნით, ვგლეჯთ და რატომ საუკუნო ცხოვრებისათვის არ ვზრუნავთ? რისთვის არ გვახსოვს, რომ წუთისაფლის სტუმრები ვართ და მომავალ ჩვენ ცხოვრებას-კი ბოლო აღარ ექნება? ეცადეთ ძმანო, სული ამჯობინეთ ხორცს და იმოდენათ მაინც იზრუნეთ სულისათვის, რამდენათაც ხორცისათვის ზრუნავთ. მე ამით შრომის წინააღმდეგ არას ვამბობ. არა, შრომისათვის დაგებადა ღმერთმა, მაგრამ მარტო მადლიანი შრომისთვის. ვინც არ შრომობს და ღროს მუქთად ატარებს, ის კარგი კაცი არ არის. უსაქმური კაცის გული ბუღდა ყოველივე ბოროტებისა, თორემ მადლიან მშრომელს ცუდკაცობისათვის არ სსცალიან. როცა შრომობ, ეცადე შენი ნაშრომისაგან სხვასაც არგო რამე. იყავი ყველასთან თავმდაბალი და ნუ ცდილობ სხვის დაჩაგვრას. გიყვარდეს ყოველი კაცი განურჩევლად, რადგან ღმერთი ყველას სიყვარულს გვიბრძანებს. ღმერთს ყველა მამას ვეძახით ღ იმასაც მაშინ ვეყვარებით, როცა ყველას კეთილი ძმებავით გვეყვარება ერთმანეთი. დავანებოთ თავი ამპარტავენებს, სხვის მტრობა-

უბრობას, ცარცვა-გლეჯას და იმას მოვჯერდეთ. რაც ღმერთმა მოგვცა. სიღარიბე სულგრძელობით მოვითმინოთ და ღვთის მოცემული ნურაფერი გავადიდგულებს. მაგრამ განა ასე ვიქცევით ჩვენ? რამდენია ჩვენში ისეთი სინდის დახშული კაცი, რომ ღვთის ხატად და მსგავსად გაჩენილ კაცს ისე უყურებს, როგორც პირუტყვს და, თუ იბრიყვა, არ დაზოგავს მას არც გალანძღვით, არც გალახვით და არც სასიკვდილოთ? რამდენია ისეთი კაცი, რომ ათასნაირ საზიზღარ საქმეებს ჩადის და თავისი საზიზღარი საქმეები საქებურად მიაჩნია და მით ამაყობს კიდევ? კაცი ის არის, ვინც თავისი კეთილი ცხოვრებით ყველას თავს აყვარებს, თორემ ვინც თავისი ბოროტებით სხვას აწუხებს და სხვისი კვნესა სიმღერად ეყურება, ის კაცად ჩასაგდები არ არის. პირუტყვებსაც-კი აქვთ იმოდენი ნიჭი, რომ თავის მსგავს პირუტყვებს არ იმეტებენ, თავისებურად კიდევ ესიყვარულებიან ერთი-მეორეს და ჩვენ ადამიანებს რატომ არ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. ვეცადოთ ქრისტიანულ ცხოვრებას, თორემ ბოროტებისათვის ამ ქვეყნიერათაც ყოველი რიგიანი კაცი შეგვიძულებს და სიკვდილის შემდეგაც ზიზლით მოგვიგონებენ და წაწყმედას შემოგვითვლიან. კაცის სიცოცხლე თესვას გავსთქო და ჩვენც ვეცადოთ, ძმანო, სანამ ცოცხალი ვართ, ბევრი კეთილი საქმე დავთესოთ, თორემ სიკვდილის შემდეგ კაცს მადლის ქმნა თავის-თავად ისე არ შეუძლია, როგორც არ შეიძლება ზამთარში თესვა. ვეცადოთ იმდენი მადლი შევიკრიბოთ ამ ქვეყნიერად, რომ პირნათლად წარვსდგეთ ქრისტეს მეორედ მობრძანების ღროს და ღირსი შევიქმნეთ სანატრელი მოწოდებისა: „მომვადით კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისად“ (მატთ. თავი 25, მუხ. 34 — 35). ამინ,

მღ. ს. ჭუმბურიძე.





განსხადება.

აზოგალთა საზურაღფაოღ.

ამ ზაფხულს განვიზრახეთ ერთ-ერთ მთა-ადგილს მოზარდ ქალ-ვაჟთათვის ახალმენის გამართვა, იმის მიბაძვით, როგორც ეს შემოღებულა დიდის ხნიდგან გერმანიასა და საფრანგეთში.

ამგვარ დაწესებულებას მიზნად აქვს ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოღონიერება, სხეულის გამაგრება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მოძაველისათვის; ერთის სიტყვით იმის მინიჭება, რაც ესლანდელ დროს ცნობილია უებარ სამკურნალო საშუალებად.

მთა-ადგილის წმინდა ჭაერი და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს უოველ ბავშვებსაზე და განსაკუთრებით მასზედ, ვისაც რაიმე სისუსტე აქვს.

მეტადრე უხდება მთაზედ ეოფნა: ვინც სისხლ-ნაკლებია, დასუსტებული და მოქანცული ან ცხოვრების შეუფერებელ ჰირობებით, ან ზედმეტს შრომით; ვინც ნაავადმეოფარია და საკმაოდ მოღონიერებული არ არის, მეტადრე ვისაც ახალი გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმეოფობა; აგრეთვე ვინც მადა-დაკარგულია და ჭაობის ცივებით (მაღარი. თ) შეზურობილი და სს.

ეველას ამით და მეტადრე ქალაქის უსუფთაო და შესუთულ ჭაერში მცხოვრებთ, ესაჭიროებათ დასვენება, დონის მოხვეჭა და სხეულის გამაგრება, რომ მოძაველში ადვილად ვერ დასხაგროს რაიმე ავადმეოფობამ.

საზაფხულთა ახალმენში მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 8—16 წლამდე ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე შემოსწენებული ნაკლი აქვს.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმეოფნი, გამადებებ სენით შეზურობილნი, არც ფილტვების სიჭლეკით დაავადმეოფებულინი, არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზის გამო მაღალ მთა-

ადგილს ეოფნა სასარგებლოდ არ დაურჩებათ. ახალმენი იქნება ექიმის ხელმძღვანელობაში, რომელიც მუდმივი თვალეურის მკდებელი უნდა იეოს ეოველივე წეს-რიგის და ეველ ბავშვებისაც.

ექიმობა იქნება უმთავრესად ბუნებრივი: წმინდა ჭაერზე ეოფნა, დასვენება, ბევრკვარი კასართობი და შექცევა, სხეულის ეოველკვარი ვარჯიშობა, სხვა-და-სხვა კვარი თამაშობა, სეირნობა, მოგზაურობა, ბანაობა, საერთოდ საუკეთესო ჭიგეინურ ჰირობებში ცხოვრება, ეოველივე მეცნიერულად შეფარდებული თეითეულ ბავშვის აკებულებასთან.

უსვი და შერჩეული საზრდობა, თეითეულის სხეულისათვის შერჩეული, დღეში ექვსჯერ.

ეოველივე განსაზღვრული იქნება ერთხელე დადგენილ საუკეთესო წეს-რიგით, რომელსაც ბავშვები ადვილად ეჩვევიან და სამემდეკოდაც ითვისებენ.

ამ მიზნით ამ ზაფხულისათვის მიკვეავს მსურველნი ერთ-ერთ მთა-ადგილს, სადაც ეოფნის ხანა განსაზღვრულია 15 ივნისიდან 15 მარიაიმობისთემდე.

რადგანაც მსურველთა რიცხვის მიხედვით უნდა იქნეს ნავარაუდები ეოველი მოწეობილება, და რიცხვიც მისაღებ ბავშვთა განსაზღვრულია, ამისათვის საჭიროა ესლავე გვაცნობონ თვისი განზრახვა, ვისაც კი ჭსურს შვილის დაბინავება ამ ახალ-მენში.

ამასთანავე უნდა გვაცნობონ, ექიმის განხვით, რა სხეულება აქვს იმ ქალს ანუ ვაქს, რომლის დაბინავებაც ჭსურსთ საზაფხულთა ახალ-მენში.

ვისაც ჭსურს ამ საქმის შესახებ დაწერილებით ეოველკვარ ჰირობების შეტეობა, მოგვმართოს წერილით ან ჰირადად ქალაქთბილისს.

ექიმი ვასტანგ დამბაშიძე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. დამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимаандритъ Георгій 14 юня 1903 г.